შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (9.772)

18 – 25 მარტი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სიტყვის მადლით გაერთიანებულნი

გვ.5

გამგებლის ახალი ინიციატივა — „ერთი დღე სოფელში“ დაიწყო

გვ.3

გვ.7

ვინ ვეღარ ისარგებლებს ერთდროულად საყოველთაო ჯანდაცვისა და კერძო სადაზღვევო პაკეტით

ნებაყოფლობითი ქველმოქმედება და ქვეყნის მეციხოვნედ მდგარი სასაზღვრო სოფელი...

გვ.4

გაუდაბნოების წინააღმდეგ შეგვიძლია ფისტას ნერგები გამოვიყენოთ

გვ.3-6

წარმატებული ემიგრანტი ქალები დააჯილდოვეს

გვ.5

„სიკეთე გადამდებია“

შოთა მჭედლიშვილის დასახმარებლად

საქართველოს ბანკი:

GE 05 BG 000 0000 754 131 100

მიმღები: ნინო მჭედლიშვილი

გვ. 8

„კახეთის საათი“

„ობიექტივზე“

ახალი დროით

კვირა 12:30

გიორგი კვირიკაშვილი პიტერ სიიარტოს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თბილისში ვიზიტით მყოფ უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრს, პიტერ სიიარტოს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები, თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს და ხაზი გაუსვეს საქართველოსა და უნგრეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავის თარიღის მნიშვნელობას.

მათივე განმარტებით, საუბარი შეეხო აპრილის თვეში უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის დაგეგმილ ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომლის ფარგლებში გაიმართება ერთობლივი ბიზნესფორუმი, სადაც ქართველ ბიზნესმენებთან ერთად 50 მსხვილი უნგრული კომპანიის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

„გიორგი კვირიკაშვილმა და პიტერ სიიარტომ ყურადღება გაამახვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირების განმტკიცების აუცილებლობაზე და საინვესტიციო ურთიერთობების მიმართულებით არსებულ დიდ პოტენციალზე. კმაყოფილებით აღინიშნა ტურიზმის კუთხით არსებული დინამიკა, რასაც, მხარეთა შეფასებით, ხელს უწყობს უნგრული ავიაკომპანია "ვიზიარის" დაბალბიუჯეტიანი ფრენები ქუთაისის აეროპორტიდან.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე. უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილს მიულოცა ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულება. მისი განცხადებით, საქართველო მყარად დგას ევროინტეგრაციის გზაზე და განაგრძობს ნატოს მიმართულებით სვლას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განიხილეს რეგიონში არსებული გამოწვევები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება. უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრის განცხადებით, უნგრეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს სრულად უჭერს მხარს", - აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში.

ეკა ბესელია - საქართველოში სტრასბურგის სასამართლოს მინი მოდელის შექმნა მარტივი თემა არ არის და გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრი ნაჩქარევია

სტრასბურგის სასამართლოს მინი მოდელის შექმნა მარტივი თემა არ არის. ერთგვარად შეიძლება დუბლირების პრობლემაც გაჩნდეს, - ასე გამოეხმაურა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილ ინიციატივას, რომელიც ე.წ. ადგილობრივი სტრასბურგის მოდელის ამოქმედებას ეხება.

როგორც ბესელიამ აღნიშნა, ეს ძალიან რთული და კომპლექსური თემაა.

მისივე თქმით, ამ თემაზე პარლამენტში უმსჯელიათ, როდესაც სახალხო დამცველის წინადადება შევიდა.

"თუმცა ეს არ არის მარტივი საკითხი. ამას სჭირდება ძალიან ღრმა, სისტემური ანალიზი. საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უნივერსალური ფუნქცია კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების და ის, რომ მას დამატებით შესძინოს ის ფუნქციები, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადახედვა დაიწყოს ანუ ერთგვარი მინი მოდელი შეიქმნას სტრასბურგის სასამართლოსი, ასეთი მარტივი თემა არ არის. ერთგვარად შეიძლება დუბლირების პრობლემაც გაჩნდეს, იმიტომ რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის საგამონაკლისო წესი ისედაც არსებობს. ჩვენ დავამატეთ ამ გამონაკლის წესებს კიდევ რამდენიმე პუნქტი და ამას დღეს ახორციელებს უზენაესი სასამართლო. თუ ამ ფუნქციის პარალელურ ფუნქციას ვაძლევთ საკონსტიტუციო სასამართლოს, ამას ძალიან ღრმა ანალიზი სჭირდება. მე მგონია, ცოტა ნაჩქარევია ეს პოზიცია, ნაჩქარევია ჯერ ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრი იქამდე, ვიდრე არ მოხდება ღრმა ანალიზი ამის აუცილებლობის. ამას სჭირდება სხვა დამატებითი რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე საკადრო, ასევე ფინანსური. ამავე დროს რთულიც არის იმიტომ, რომ უზენაესი სასამართლოს ამგვარი ფუნქციის გამეორება შეიძლება გარკვეული დისბალანსის შემომტანიც იყოს", - განაცხადა ეკა ბესელიამ და აქვე აღნიშნა, რომ დისკუსია ამ თემაზე შეიძლება.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფის დღევანდელ შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემაა უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეების თანამდებობაზე განმწესებასთან დაკავშირებული საკითხები იქნება.

საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით განიხილება ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს მისთვის უფლებამოსილების მინიჭებას გადასინჯოს და დაადგინოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა - საუბარია ე.წ. ადგილობრივი სტრასბურგის მოდელის ამოქმედებაზე.

ბიოსფერული რეზერვატის შექმნასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

13 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სამუშაო ოთახში ბიოსფერული რეზერვატის შექმნასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის წარმომადგენლები, გერმანელი ლანდშაფტების ეკოლოგი - სოფიე ჰირშელმანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ადგილობრივი თვითმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განიხილეს ის სარგებელი,რაც ბიოსფერული რეზერვატის შექმნამ უნდა მოუტანოს დედოფლისწყაროს როგორც ეკონომიკური, ასევე გარემოსდაცვითი საკითხის თვალსაზრისით.

დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, გალარების პროგრამის ფარგლებში 60 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის სესხი გალარდა

საქართველოს პირველი ვიცე- პრემიერის, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, გალარების პროგრამის შედეგად 60 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის სესხი გალარდა.

დიმიტრი ქუმსიშვილმა გალარების პროგრამაში ჩართულ მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა.

„ამ პროგრამის შედეგად 60 მილიონი დოლარის პორტფელის გალარების შედეგი მივიღეთ. ეს იყო ერთჯერადი მხარდაჭერის აქცია სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენ ძალიან მოვინდომეთ და ამისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. მინდა გამოვხატო მადლიერება ყველა იმ ოჯახის მიმართ, ვინც მიიღო ამ აქციაში მონაწილეობა. 4 500 ოჯახი, ამ პროგრამის შედეგად არის დაზღვეული შემდგომი სავალუტო კურსის რყევებისგან. გარდა ამისა, ცვლილებები, რომელიც შევიდა კანონმდებლობაში, დაეხმარება გალარების პროცესს. ეს არის ის ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს 100 000 ლარამდე სესხების ლარში გაცემას", - განაცხადა ქუმსიშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა შესაძლოა 9 მოსამართლიდან 15-მდე, მოსამართლის ასაკი კი 30-დან 35-40 წლამდე გაიზარდოს

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა შესაძლოა 9 მოსამართლიდან 15-მოსამართლემდე გაიზარდოს. გარდა ამისა, განიხილება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ასაკის 30 წლიდან 35 ან 40 წლამდე გაზრდის საკითხი.

აღნიშნული ინიციატივები ასახულია სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წადგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების სამუშაო ვარიანტში.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების გაზრდას და ე.წ. მინი სტრასბურგის ამოქმედებას, ამასთან დაკავშირებით კომისიაში განიხილება კონსტიტუციისათვის ახალი მუხლის დამატება, რომლის მიხედვით, ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით, თუ დავის საფუძველი სასამართლოს მიერ შეფარდებული ნორმის ან ამ ნორმის განმარტების არაკონსტიტუციურობაა.

საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის

საქართველოს სახალხო დამცველმა მთავრობას რეკომენდაციით მიმართა, საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოების უსაფრთხოებისა და არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაშია ნათქვამი, სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა" თბილისის მაღაზიებში შეძენილი ათი დასახელების თოჯინა გერმანიაში სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში გაგზავნა. მიღებული პასუხების თანახმად, ათიდან ცხრა თოჯინაში დიდი ოდენობით ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერება აღმოჩნდა.

"სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ" ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან, მხოლოდ 2019 წლისათვის არის გათვალისწინებული. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საჭიროა, სასწრაფოდ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები და „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ" დირექტივა 2019 წლის 1 სექტემბრამდე შესრულდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ეროვნული კანონმდებლობა აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას, განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით; კონტროლის არარსებობამ კი შესაძლოა აღნიშნულ სიკეთეებს საფრთხე შეუქმნას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავრობას — რეაგირება მოახდინოს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ბაზრის ზედამხედველობის კუთხით არასრულწლოვანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით და „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ" დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში 2019 წლამდე დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული ქმედებები საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის მოსანესრიგებლად, სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებში", - ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში.

ახალი ზოოპარკი თბილისის ზღვაზე წლის ბოლოს გაიხსნება

თბილისის ზღვაზე ახალ ზოოპარკს დამთვალიერებლების მიღება, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის შეეძლება, — ამის შესახებ ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ახალი ზოოპარკის მოწყობის პირველი ეტაპი სწორედ 2017 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს, მომდევნო წლებში კი მისი განვითარება გაგრძელდება. ზურაბ გურიელიძე ამბობს, რომ ახალი ზოოპარკი ძველისგან განსხვავებული კონცეფციით აშენდება და ის დაყოფილი იქნება ბიოგეოგრაფიული ზონების მიხედვით, ცალკე იქნება გამოყოფილი კავკასიის რეგიონი, ცალკე აზიის, აფრიკის და ა.შ.

ზოოპარკის დირექტორი ფიქრობს, რომ წლის ბოლოსთვის სწორედ კავკასიური ფაუნის ექსპოზიცია იქნება მზად. ამჟამად კი თბილისის ზღვაზე 2 ვოლიერის მშენებლობა მიმდინარეობს, რომლებიც განკუთვნილი იქნება დათვებისა და მგლებისთვის და ირმებისა და ნიამორებისთვის. გურიელიძის თქმით, ვოლიერების მშენებლობისთვის თანხა ზოოპარკს გრანტის სახით გამოეყო, დანარჩენი თანხების მოსაზიდად კი მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან გრძელდება.

გარდა ამისა, ჩატარებულია გარკვეული საპროექტო სამუშაოები კომუნიკაციებისთვის, როგორიცაა წყალი, დენი, კანალიზაცია და ა.შ. ზოოპარკის დირექტორი აცხადებს, რომ ნაწილობრივ კომუნიკაციების გამართვის სამუშაოებიც იწყება.

რაც შეეხება შეკითხვას, იქნება თუ არა ადგილზე გასართობი ატრაქციონები, ზოოპარკის დირექტორი პასუხობს, რომ კარუსელები იმ სახით, რა სახითაც იყო ძველ ზოოპარკში, აღარ დამონტაჟდება.

"გვინდა, რომ კარუსელები საერთოდ არ იყოს, თუმცა, გარკვეული სათავგადასავლო და სპორტული ატრაქციონები იქნება, მაგალითად როგორიცაა თოკებზე და კლდეზე ცოცვა და ა.შ.",- აცხადებს ზურაბ გურიელიძე.

მიმდინარე წელს ახალი ზოოპარკის სამშენებლო სამუშაოებისთვის თბილისის ბიუჯეტიდან 345 ათას ლარამდეა გამოყოფილი. ზურაბ გურიელიძე აცხადებს, რომ მთლიანობაში ზოოპარკის გასამართად დაახლოებით 40 მილიონი ლარია საჭირო.

გამგებლის ახალი ინიციატივა - „ერთი დღე სოფელში“ დაიწყო

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, კვირაში ერთ დღეს ხალხთან გაატარებს. პირველი შეხვედრა სოფელ ზემო მაჩხაანში 10 მარტს გაიმართა. გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ბენაანთ, რობიტაანთ და სხვა უბნების მაცხოვრებლებს შეხვდა. მან ადგილობრივი მოქალაქეებისგან პირადად მოისმინა ის პრობლემები და საკითხები, რომლებიც მათ სოფელში აწუხებთ. ზემო მაჩხაანელები საკმაოდ აქტიურობდნენ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ზემო მაჩხაანელებს სოციალური, ინფრასტრუქტურული თუ სხვა საჭირბოროტო საკითხების უახლოეს პერიოდში მოგვარებას დაპირდა.

გამგებლის აზრით, ეს ინიციატივა მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციის საშუალებას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და, ასევე, სერიოზულ როლს შეასრულებს მათი პრობლემების სწრაფად გადაწყვეტის საქმეში.

შემხვედრის შემდეგ გამგებელი სოფლის ბაგა-ბაღს ეწვია, შენობა დაათვალიერა და მის თანამშრომლებს შემოდგომისთვის ბაღის სრულ რეაბილიტაციას დაპირდა.

„მას შემდეგ, რაც სოფლის დახმარების პროგრამა შეჩერდა და სხვა კუთხით წარიმართა უფრო მსხვილი პროექტების განხორციელება, მიმაჩნია, რომ სოფლებთან კომუნიკაციის დეფიციტი წარმოიშვა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ასე შემოვიარო ყველა სოფელი, ერთი დღე ადგილზე გავატარო და თავად ვნახო, რა უჭირთ ადგილობრივებს. ჩემთან ერთად გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებიც დადიან, რაც საშუალებას გვაძლევს, ნებისმიერ მოქალაქეს მათთვის საინტერესო კითხვებზე კომპეტენტური პასუხი დროულად გავცეთ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დედოფლისწყარო ტერიტორიით დიდი მუნიციპალიტეტია, საკმაოდ დაშორებულია სოფლები და ბევრი ვერ ახერხებს მათთვის საინტერესო საკითხების გასარკვევად გამგეობის შენობაში მოსვლას. ამ შეხვედრებმაც დამარწმუნა იმაში, რომ საუკეთესო ფორმატია. ბევრი ასაკოვანი მოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რაიონში ამოსვლას ვერ მოახერხებდნენ, მათი უმრავლესობა მარტოხელაა და ჩემი ჩასვლით საშუალება მიეცათ გასაჭირი გამიზიარონ. რის გადაჭრასაც ადგილზე ვახერხებთ, მაშინვე ვეხმარები მოქალაქეებს, რასაც დრო სჭირდება, ვინიშნავთ და შემდგომ ჩვენი სამსახურები მოახდენენ რეაგირებას. საუკეთესო ფორმატია საიმისოდ, რომ სოფლების მოსახლეობასა და გამგეობას შორის კომუნიკაცია არ გაწყდეს. ასე უფრო ოპერატიულად მოვახერხებთ პრობლემების დაძლევას, ვიდრე კაბინეტიდან,“ - განაცხადა გამგებელმა.

შემდეგ ჯერზე გამგებელმა ერთი დღე ზემო ქედის მაცხოვრებლებს დაუთმო. თავდაპირველად მოქალაქეებმა დააყენეს ძველ ბინებში ელექტროენერგიის შეყვანისა და აბონენტად დარეგისტრირების საკითხები. გამგებელმა დაინტერესებულ მოსახლეობას აუხსნა, რომ ამ ეტაპზე გარკვეული აქციები მოქმედებს, რის ფარგლებშიც ამგვარ პროცედურებში გადასახადები გამარტივებულია, ამდენად, აუცილებელია დროულად იმოქმედონ, რათა სახელმწიფოს სიკეთით ისარგებლონ.

რამდენიმე მოქალაქემ წამოჭრა გაზიფიცირების საკითხი. ადგილობრივები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ გაზი ქედების ზონას არასოდეს ჰქონია. ვითარებას კი ისიც ართულებს, რომ ამ სოფლებს არ აქვს ტყეკაფი, სხვა რაიონებიდან ჩამოტანილი შეშა კი ძალიან ძვირია.

„22 წელია, ამ სოფელში ვცხოვრობ, მანამდე ჩემი დედამთილის ოჯახი ცხოვრობდა, სხვა ყველაფერი იყო, ზემო ქედში ცხოვრება ჩქეფდა, მაგრამ გაზი აქ არ ყოფილა. სულ ბალონებს ვყიდულობდით და ისე გავდიოდით ფონს. კომუნისტების დროსაც თხევად აირს ვყიდულობდით, ახლაც ასე კილოგრამობით ვინაწილებთ და ვიზოგავთ, მაგრამ ბევრს ამის შესაძლებლობაც აღარ რჩება. განსაკუთრებით ზაფხულში გაზი ისე გვჭირდება, როგორც ჰაერი. ძალიან გაუსაძლისი ვითარებაა. ოცდამეერთე საუკუნეში ბუნებრივი აირის გარეშე ცხოვრება და ამაზე საუბარი სირცხვილია. როცა ტყე არ გვაქვს და ზამთარ-ზაფხულ შეშის მოხმარება გვიწევს, როგორ ვახერხებთ, ვერ გეტყვით. ოთხი წელია, იმის მოლოდინში ვართ, რომ ხელისუფლება გაზს გამოიყვანს, გვპირდებიან, მაგრამ ჯერ არ ჩანს. თუ დაპირება შესრულდება და ბუნებრივი აირი გვეღირსება, ეს იქნება ძალიან საშვილიშვილო საქმე. იმდენად საოცნებოა გაზი ჩვენთვის, რომ ვფიქრობ, ყველა ოჯახი გაიყვანს, ყველა გაიჭირვებს, სხვა რამეს მოიკლებს და ამას მიაღწევს,“ – ამბობს 75 წლის მაყვალა პაპაშვილი.

„42 წელია, ქედში ვცხოვრობ, შვილო. მაგრამ ძალიან გაჭირდა ცხოვრება. მე ნახშირს ვყიდულობ და დიდი ხანია, საჭმლის მოსამზადებლად ნახშირს ვიყენებ. ყოველთვის ამის საშუალება არ გვაქვს, მაგრამ თითო, ან ორ-ორ კილო თხევად გაზს ვყიდულობთ იშვიათად. თუკი ეს ბედნიერება გვეღირსება, რომ ბუნებრივი აირი გაიყვანონ, სოფელი ამოისუნთქებს. დაგვპირდნენ, მაგრამ ვნახოთ რა იქნება,“ – აღნიშნავს ასაკოვანი ქალბატონი.

გამგებელმა ქედების ზონის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხელისუფლებას ეს თემა მიძინებული არ აქვს, ამას ისიც მოწმობს, რომ მაჟორიტარი დეპუტატიც და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც ყველა უწყებასთან ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებენ, რომ საკითხი ზედა დონეზე გაჟღერდეს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას. გამგებელი ამბობს, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და ამ სოფლებში გაზის შემოყვანის საპროექტო სამუშაოები უკვე დასრულებულია.

„ქედების ზონის გაზიფიცირება ჩვენთვის ძალზე მგრძნობიარე საკითხია. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ქართულმა ოცნებამ“ ერთერთ პრიორიტეტად ამ სოფლების გაზიფიცირება დაისახა და მას შემდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მიმდინარეობს. ასეულობით ათასი ლარი პროექტის შედგენაზე უკვე დახარჯულია და დასრულებული პროექტი არსებობს საიმისოდ, რომ გაზიფიცირება განხორციელდეს. ყველანაირად ვცდილობთ, რომ საქმე ბოლომდე მივიდეს. იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლის პროექტებში გამოინახება შესაბამისი თანხები, რათა დაიწყოს გაზის შემოყვანა. გვესმის ამ სოფლების მნიშვნელობა და ვაცნობიერებთ იმასაც, რომ სასაზღვრო ზონაა, ეს მოსახლეობა ჩვენი ქვეყნის საზღვარს ამაგრებს, ამიტომ ძალებს არ ვიშურებთ დაპირების შესასრულებლად,“ – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ხელოვნების სკოლის ზემო ქედის განყოფილების პედაგოგებმა გამგებელს ძველ შენობაში არსებული მძიმე პირობები გააცნეს და აღნიშნეს, რომ შენობაში არც დენია, არც წყალი და არც კანალიზაციის სისტემა მოქმედებს. გათბობას შეშის ძველი ღუმელით ახერხებენ, თუმცა ხის ფანჯრები იმდენად მოძველებულია, საკლასო ოთახების დათბობა ვერ ხერხდება. როგორც განყოფილების უფროსმა გამგებელს უთხრა, მრავალი წელია ამ პრობლემების შესახებ სკოლის დირექტორი ინფორმირებული იყო, თუმცა რეაგირება და პრობლემების აღმოფხვრა არ მომხდარა, მიზეზად კი სკოლის დირექცია თანხების უკმარისობას ასახელებდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და სოფლის რწმუნებულმა ბეჟან სუხაშვილმა აღნიშნეს, რომ ამ სკოლაში არსებული პრობლემების შესახებ ღიად არსად თქმულა, არც გამგეობის თათბირებზე და ახლა პირველად შეიტყეს. გამგებელმა პირობა დადო, რომ სკოლაში ელექტროენერგიის შეყვანის საკითხი უახლოეს თვეებში გადაიჭრება, შემდეგ კი ეტაპობრივად მოხდება საკლასო ოთახების განახლება.

შემდეგ კვირას დედოფლისწყაროს გამგებელი ერთ დღეს სოფელ არბოშიკში გაატარებს.

ილია მარტყოფლიშვილი

გაუდაბნოების წინააღმდეგ შეგვიძლია ფისტას ნერგები გამოვიყენოთ

ძვირადღირებული ფისტას კაკლის ნერგების მსურველებზე უსასყიდლოდ გაცემა მიმდინარეობს. სულ ახლახან საქართველოში ფისტას ასოციაცია დაფუძნდა, რომელიც ამ ჯიშის პოპულარიზაციას ცდილობს, მსურველებს უფასოდ გადასცემს და მაქსიმალურ ხელშეწყობას სთავაზობს. „ფისტა ჩვენს ოჯახში“ საცდელი პროექტია, რათა გაირკვეს, რამდენად გახარებადია ფისტა საქართველოში და როგორ შეეგუება მცენარე კონკრეტულად ამა თუ იმ რეგიონში არსებულ კლიმატს... იდეის ავტორების მიმართ ბევრს გაუჩნდა კითხვა, რატომ დაინტერესდნენ ფისტას კულტურით და რატომ უთმობენ ამხელა ყურადღებას ამ მცენარის გამოცდას მაშინ, როცა საქართველოში ბევრი გამოცდილი კულტურა უყურადღებოდაა დარჩენილი. ფისტას ასოციაცია კი მის დადებით თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას. უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ფისტა ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეა, ასეთი მიწები კი საქართველოში ბევრია და მათი მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება. ამიტომ გაუდაბოებასთან ბრძოლის წინააღმდეგ სწორედ ეს ხეები შეიძლება გამოვიყენოთ.

რამდენიმე თვის წინ ფისტას ასოციაციის აკადემიური საბჭოს საპატიო პრეზიდენტად კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე აირჩიეს. უწმინდესმა ასოციაციის წევრები დალოცა და მათი ინიციატივის განხორციელებაში წარმატება უსურვა.

ფისტას ნერგების დარიგების თაობაზე მოკლე ინფორმაცია ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე კვირის წინ გაავრცელა. აღმოჩნდა, რომ ამ კულტურით ბევრი მოქალაქე დაინტერესდა. ბოლო ხანს რედაქციაში ბევრი ზარი დაფიქსირდა. მკითხველს აინტერესებს, როგორ მიიღონ და გაახარონ ფისტა. დეტალების გარკვევა ფისტას ასოციაციაში ვცადეთ.

გაზეთი „შირაქი“ ფისტას ასოციაციის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს ოთარ ანგურიძეს **ესაუბრა:**

-თავიდან რომ დავიწყეთ საქმიანობა, ვშიშობდით, რომ გაგვიჭირდებოდა სოფლის მეურნეობაში გამოცდილი ერისთვის ახალი კულტურის შეთავაზება. ამიტომ საწყის ეტაპზე ცოტა სიფრთხილით მოვეკიდეთ ამ საქმეს. მოგეხსენებათ, ჩვენი ასოციაცია კვლევით საქმიანობასაც ეწევა და ამისათვის გვჭირდებოდა სხვადასხვა რეგიონებში გარკვეული სახის მიწის ნაკვეთები, სადაც ჩვენი წევრების მხრიდან მოხდებოდა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის ნერგების დარგვა და პერიოდული მეთვალყურეობა, თუ როგორ განვითარდებოდა მცენარე. ამისათვის გვქონდა ორი ძირითადი პირობა, მიწის ნაკვეთი უნდა ყოფილიყო შემოღობილი და ჩვენს წევრებს ნებისმიერ დროს უნდა შეძლებოდათ ადგილზე მისვლა და ნერგის შემოწმება. მცირე მსჯელობის შემდეგ ჩამოვყალიბდით, რომ ასეთი ადგილები იქნებოდა მონასტრები, რომლებიც ერთი მხრივ არიან გარკვულ შემოსაზღვრულ ტერიტორიებზე და მეორე მხრივ მონასტრების კარი მუდმივად ღიაა მომლოცველებისთვის და ამ შემთხვევაში არამარტო ჩვენი წევრები, არამედ ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა მისულიყო და ადგილზე ენახა მცენარის განვითარების სხვადასხვა სტადიები. პირველი შერჩეული ასეთი მონასტრები იყო თბილისის შემოგარენში, კახეთსა და შიდა ქართლში. შემდგომ კი მოსახლეობასა და მრევლში ამ პროექტმა იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ მათი მომართვიანობების

(გაგრძელება გვ.6)

ნებაყოფლობითი ქველმოქმედება და ქვეყნის მეცხოვნედ მდგარი სასაზღვრო სოფელი...

ონიკ ბაგდასარიანი მარტოხელა მოხუცია, ახალგაზრდობიდან არც დედა ჰყავს, არც მამა, არც ცოლ-შვილი, მარტოხელაა, ცხოვრობს გაჭირვებაში, უშეშოდ და უპროდუქტოდ...

რაია და ისა რაჯაბოვები, – ცოლქმარი, არც შეშა, არც წყალი და ფი-

ზიკურად უუნაროები, რომ სადმე წავიდნენ....

ანიკო მოსიანი – ქვრივი, იგი წარმოშობით თელავის რაიონიდან, სოფელ ხოდაშენიდანაა, 40 წელი ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი იყო საბათლოს სკოლაში, მეუღლე ერთი თვეა, დაეღუპა. ცხოვრობს უკიდურეს გაჭირვებაში...

ლამარა და ლიანა ჩარქანდიანები – უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები დები არიან.

დიმიტრი გიგაური, თვეში 60 ლარის მარტო წამლები სჭირდება, თვიდან თვემდე თავი ძლივს გააქვს...

ეს 116 კომლით დასახლებულ სოფელ საბათლოში მცხოვრები რამდენიმე ადამიანის მოკლე ისტორიაა, იქ მცხოვრები სხვა ოჯახების უმეტესობა, თითქმის ანალოგიურ მდგომარეობაშია. უკიდურესი გაჭირვება, რომელსაც ამ სოფლის მკვიდრთა შორის წავაწყდით, ენით აუწერელია. მიზეზი ბევრ რამეში შეიძლება ვეძიოთ, ასაკზე რომ აღარ ვისაუბროთ, განათლების პრობლემამ ახალგაზრდობაშივე ვერ მისცათ გასაქანი, დასაქმებულიყვნენ და დანაზოგი შეექმნათ, შედეგად მოხუცებულობაც გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. ამ ყველაფერს ემატება ახალგაზრდებში უმუშევრობის ზრდა, რაიონული ცენტრისგან 75 კილომეტრით მოწყვეტა და ის სოციალური გარემო პირობები, რაც საბათლოში ბატონობს. უკრაინის „ტავრიის ქრისტიანულმა სათვისტომომ“ საქართველოში სოფელ საბათლოს მკვიდრი მოსახლეობა ღატაკ მაცხოვრებლებად შეაფასა, რომლის მსგავსიც იშვიათად თუ უნახავთ. სწორედ ამიტომ, გადაწყვიტეს, ამ სოფლის მკვიდრთ ყოველთვიურად დახმარებოდნენ. „ტავრიის ქრისტიანული სათვისტომოს“ წარმომადგენლობამ თავის ნდობით აღჭურვილპირად სოფელ საბათლოში გევორგ ჩოუშიანი აირჩია, რომელიც ხალხის მიერვე იქნა დასახელებული მათ რჩეულად და ფონდთან შუამავლად. გევორგი 22 წლისაა, მის ქველმოქმედებაზე ჩვენს გაზეთში ჯერ კიდევ წლების წინ ვწერდით. ის თავისი ცოდნით და განათლებით სოფლის მაცხოვრებლებს ყველანაირი სახის დოკუმენტაციის წარმოებაში ეხმარებოდა. წლების წინ მან ჩვენი ყურადღება იმით მიიქცია, რომ საბათლოს მაცხოვრებელ ოჯახს, რომლებსაც წლებია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ ჰქონდა, გევორგმა საჯარო რეესტრთან დაუღალავი თანამშრომლობის შედეგად, მათ პირადობები ააღებინა. მაშინ ის ოჯახი მადლობას უხდიდა ჩოუშიანს გაწეული სამსახურისთვის.

გევორგის დედა დიასახლისია, მამა მიჯნის ყურის დაცული ტერიტორიის რეინჯერია. თავად წლები ცდილობდა დაცვის პოლიციაში მუშაობის დაწყებას, თუმცა, მცდელობა კრახით დამთავდა და დღეს ის კერძო პირთა საზამთროს ბაღებში მუშაობით (დღეში 15 ლარი) ირჩენს თავს. მისი ოჯახის ეს მდგომარეობა კიდევ დიდი უპირატესობაა სოფლის დანარჩენი მაცხოვრებლების ფონზე. მათ სხვებთან შედარებით არც საჭმლის უქონლობა აწუხებთ და არც გათბობის. სწორედ ამან და შინაგანად მისმა სულიერმა მოთხოვნილებამ გევორგი ქველმოქმედად აქცია. დღე ისე როგორ უნდა გავიდეს, რომ გევორგი 4-5 ოჯახს არ დაეხმაროს იმით, რაც სახლში გააჩნია, ეს იქნება ნამცხვარი, ხილი, პური თუ სხვა პროდუქტი. ეს ყველაფერი მას უანგაროდ სახლიდან გააქვს. არც ისე დააღამებს, რომ რამდენიმე მოხუცთან არ ჩამოჯდეს და მათ არ გამოელაპარაკოს. ეს ყველაფერი მის ყოველდღიურ მოთხოვნილებაში გადაიზარდა. მოსახლეობამაც დაუფასა გულისხმიერება და „ტავრიის“ წარმომადგენლებს ყველაზე სანდო ადამიანად გევორგი დაუსახელა. გევორგმა ბევრი იმუშავა უკრაინის ქრისტიანულ სათვისტომოსთან, თითოეული მაცხოვრებლის შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია მიაწოდა ფონდს. ხანგრძლივმა თანამშრომლობამ შედეგად გამოიღო ის, რომ უკრაინული ქრისტიანული ინსტიტუტი სოფელ საბათლოს მაცხოვრებლებს გევორგის საშუალებით ყოველთვიურად შეშით, პირველადი მედიკამენტებით და ტანსაცმლით ეხმარება.

– „სოფელში ცხოვრობდა ხალხი, რომლებიც 25 წელი უსაბუთოდ იყვნენ, ისეთებიც იყვნენ, რომ შრომის წიგნაკის აღებაც გაუჭირდათ, მე ყველას წლებია ვეხმარები, მივყვები სა-

დაც ესაჭიროებათ მისვლა, გადავცემ მათ სათქმელს ორგანიზაციის წარმომადგენლებს და ვუგვარებ ყოველგვარ დოკუმენტაციას, ამ ყველაფერს უსასყიდლოდ, ჩემი ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვაკეთებ. ამის პარალელურად, როდესაც ვხედავ ხალხს როგორ უჭირს, ყოველდღიურად სახლიდან მიმაქვს პროდუქტი და ყველაფრით ვეხმარები ისეთ ადამიანებს, ვისაც არ შეუძლია გარეთ გამოსვლა, ვისაც იმის პირობებიც არ აქვს, რომ ცხელი კერძი გაიკეთოს და არც გათბობა, მათ პროდუქტის მიტანაც არ შეუძლიათ, მეცოდებიან ისინი, რომ ასეთ გაჭირვებაში დარჩნენ და თითქმის ყოველდღე მივდივარ. ჩემდა საბედნიეროდ გავიცანი უკრაინული „ტავრიის ქრისტიანული სათვისტომოს“ წარმომადგენლები, მოხარული ვარ იმით, რომ მათ სოფლის მოსახლეობის დახმარება გადაწყვიტეს, ყოველთვიურად ჩამოდიან, ქირაობენ მიკროავტობუსს, გვერდით სოფელში ყიდულობენ შეშას და მოაქვთ ხალხთან სახლებში. ეს ძალიან დიდი დახმარებაა მოხუცებისთვის, მართალია, ისინი სოციალურ დახმარებასაც იღებენ და პენსიასაც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თვეში 60 ლარის აუციულებელი მედიკამენტები სჭირდებათ, ამ ფონზე, ძალიან ბევრი რამის მოკლება უწევთ. მინდა გითხრათ, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციას გაჭირვებულებისთვის მოაქვს მეორადი ტანსაცმელი, პირველად, დახმარების სამედიცინო წამლები, პროდუქტი და შეშა გათბობისთვის,“- ყვება ჩვენთან საუბარში გევორგ ჩოუშიანი.

- გევორგ, ვიცი, რომ სოფელს სრული სასკოლო განათლების შესაძლებლობა აქვს, კიდევ რა ორგანიზაციებია სოფელში, არის თუ არა ბაღი, ბიბლიოთეკა, გასართობი რაიმე ცენტრი ბავშვებისთვის?

- სოფელს აქვს სკოლა სომხური და ქართული სექტორით, ამბულატორია და ბიბლიოთეკა, ხოლო საბავშვო ბაღი არ გვაქვს, ბუნებრივ აირს არც ელოდება ხალხი, რადგან ჯერ ქედებამდეც არ მოუღწევია.

– როგორ იზრდებიან საბათლოში ბავშვები, მაგალითად თქვენზე მოყვითი, როგორც ერთ ჩვეულებრივ საბათლოში გაზრდილ მაცხოვრებელზე?

– მე ძალიან ნიჭიერი ვიყავი, მდიდრულად არ ვცხოვრობდით. მაგრამ არც გაჭირვებულები ვიყავით, მქონდა რამდენიმე ტალანტი, თეატრალურიც და მუსიკალურიც, მაგრამ საშუალება არ იყო მესწავლა, ვინც კარგად სწავლობს, მეცხრე კლასიდან სომხეთში აგრძელებს სწავლას და იქვე რჩებიან. მეც ძალიან კარგად ვსწავლობდი, ამიტომ სომხეთში გავაგრძელე სწავლა, იქ საბანკო საფინანსოს მეორე კურსზე ვიყავი, რომ ჯარმა მომიწია და ჩამოვედი. აქ, დედოფლისწყაროში დაცვის პოლიციის ჯარი გავიარე. რადგანაც ძალიან მიყვარს საქართველო, ვცდილობდი რომ დაცვაში სამსახური მეშოვა, არ გამომივიდა, იმის მერე დავრჩი სოფელში. ვეღარც სწავლა გავაგრძელე. 3 წელია უკვე, რაც ჩვენს ოჯახს ყველაფრით ვეხმარები, რითაც შემიძლია.

– გევორგ, მაინტერესებს შენი ზუსტი პასუხი, თვლი თუ არა, რომ შენ ეთნიკური ნიშნის გამო ვერ დასაქმდი დაცვის პოლიციაში, ან სადმე სხვაგან, დაცვის პოლიციაში მუშაობას განა დიპლომი სჭირდებოდა?

– საჯარო რეესტრში მე ძალიან კარგად მიცნობენ, თუ როგორ ვეხმარები საბუთებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენს ხალხს. ჯარის დროს მე რაიონში ვანო გიგოლაშვილთან ვცხოვრობდი, ის მამაჩემის მეგობარია და მან იცის კარგად, მე რამდენ ადამიანს დავხმარებივარ. კი, დიპლომი არ სჭირდებოდა დაცვის პოლიციაში მუშაობას, მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ეროვნების გამო არ დამასაქმეს, რადგან ყოველთვის სიმართლის მხარეზე ვარ, ბევრს არ მოსწონს რომ ჩემთვის სიმართლის გარდა არაფერი არ არსებობს, მაგრამ ასეთი ვარ, ვფიქრობ, მაინც ყველგან ნაცნობობაა საჭირო, არავინ მყავდა ისეთი, ვინც სიტყვას წამაშველებდა და ამიტომ დავრჩი ასე. დიახ, მე ვიცი, სამსახურებში ბევრი ისეთი ადამიანი არის დასაქმებული, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით კი არ არიან დაკავებული, არამედ იმის ფიქრით არის შეპყრობილი და ელოდება, როდის ჩაერიცხება ხელფასი. აქვე მინდა დავძინო, რომ მე რასაც ახლა ვაკეთებ, იმისთვის არ ვაკეთებ, რომ ვინმემ დამასაქმოს ან შემაქოს, არა, ეს ჩემი სულიერი მოთხოვნილებაა, მე თუ რომელიმე დღე ისე ჩავამთავრე, რომ ვინმეს არ დავეხმარე, არ ვთვლი, რომ ის დღე ჩემთვის ნორმალურად გავიდა.

– გასაგებია, რომ თქვენისთანა ენერგიული და მოწადინებული ახალგაზრდა დიახაც უნდა იყოს დასაქმებული ყველა დროში და ქვეყანაში.

– მთავრობამ არ მომცა საშუალება, რომ უფრო ახლოს დავდგომოდი მოსახლეობას გვერდზე, მაგრამ მადლობას ვუხდი „ტავრიის ქრისტიანული ინსტიტუტის“ საქართველოს წარმომადგენლობას, რომ მომცეს საშუალება, კვლავაც დავეხმარო ხალხს და ვდგავარ მოსახლეობის გვერდით.

– და ამ ყველაფრის ფონზე, მაინც რითი ცხოვრობს ხალხი, რით ირჩენენ თავს?

– ძირითადად ვმუშაობთ საზამთროს ბაღებში, 15 ლარად, რაც ძალიან ცოტაა, მარტის შუა რიცხვებიდან იწყება საზამთროს ბაღის მუშაობა და გრძელდება 4 თვე. სექტემბერში უკვე ყურძნის დაკრეფაზე დავდივართ სოფელ სამთაწყაროში. უმეტესობა მესაქონლეობით ირჩენს თავს, ზოგს საერთოდ არ ჰყავს საქონელი, ზოგს 4-5 ძროხა ჰყავს, ზოგს კი ამაზე მეტი.

– სოფელ საბათლოში ტაძრის მშენებლობაა დაწყებული, მშენებლობა სოფელში და სოფლის გარეთ მცხოვრები ხალხის ქველმოქმედებით მიმდინარეობს და მისი კედლები ნახევრამდეა ამოყვანილი, იმედს ვიტოვებთ, ამ ტაძარივით, სოფლის ეკონომიური მოძლიერებით კედლებიც მალე ამოიყვანება, ჭერიც გადაიხურება და ერთ ძლიერ ციხესიმაგარედ რომელიც საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილში სამშობლოს სადარაჯოზე ამაყად დადგება.

ლალი მეხრიშვილი

„გავაზიაროთ სამშობლო“ - წარმატებული ემიგრანტი ქალები დააჯილდოვეს

13 მარტს, გარდენ ჰოლში, წარმატებული ემიგრანტი ქალების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

ღონისძიების ავტორი გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაცია „მე დავბრუნდები,“ საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონდი და წელს ის მეორედ გაიმართა. საზეიმო ცერემონიალზე სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე 12 ქართველი ქალბატონი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ეროვნულ საქმეში, ვიცე- პრემიერმა კახი კალაძემ დააჯილდოვა. მათი მუშაობა დაკავშირებულია ქართული კულტურის და მთლიანობაში საქართველოს პოპულარიზაციასთან.

ამ ღონისძიების ერთ-ერთი გმირი დედოფლისწყაროელი პოეტი და ჟურნალისტი ირმა შიოლაშვილია. ის თვრამეტი წელია, სათავეში უდგას რადიოგადაცემას, რომელიც გერმანიაში პოპულარიზაციას უწევს საქართველოს, აცნობს ქართულ კულტურას, ტრადიციებს, ისტორიას და კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სიტუაციის რეალურ სურათს ასახავს.

ირმა შიოლაშვილი: „ათეული წლებია, გერმანიაში რადიო „ლოკომის“ საშუალებით, ჩემი ქვეყანა გამაქვს გერმანიაში, ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ჩემთვის ძალიან საყვარელია და არც ვიფიქრებდი, რომ ამისთვის ვინმე მადლობას გადამიხდიდა და დამაფასებდა. მე ასევე მაქვს საკვირაო სკოლა ქალაქ ბონში, სადაც შერეული ოჯახის შვილებს ქართულ ენას ვასწავლით, თუმცა, ამჯერად ჩემი პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის დამაჯილდოვეს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ ჯილდოთი რადიო „ლოკომი“ ახლა საქართველოში ჩამოვიდა“.

ინა ასანიძე, **ორგანიზაცია „მე დავბრუნდები“-ს დამფუძნებელი:**

- 2016 წელს წარმატებული ქართველი ემიგრანტი ქალების დაჯილდოება პირველად ჩავატარეთ და ეს დიდი სტიმული აღმოჩნდა ემიგრაციაში მცხოვრები ქალაბატონებისათვის. წელს 12 ემიგრანტ ქალბატონს ვაჯილდოებთ, რომელთაგანაც ერთი ქალბატონი, თამარ სირბილაძე გარდაცვლილია და პრიზს მისი ოჯახი მიიღებს. ეს ქალბატონი ავსტრიაში ცხოვრობდა და ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა საქართველოსთვის. მაგალითად, თბილისის წყალდიდობისას დაზარალებულ ოჯახს ბინაც უყიდა. რამდენიმე მრავალშვილიან ოჯახს ყოველთვიურად ეხმარებოდა და ამის აფიშირება არ სურდა. ჩვენ შევეცდებით, მისი ამაგი სიკვდილის შემდეგ დავაფასოთ. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ ემიგრანტ ქალბატონებზე, რომლებიც თავიანთი საქმიანობის პარალელურად ცდილობენ, ეროვნული საქმეც აკეთონ, სათავეში უდგანან სათვისტომოებს,

საკვირაო სკოლებს. ამიტომაც ჩვენი ღონისძიების დევიზია - „გავაზიაროთ სამშობლო“. წლევანდელი ჯილდოს მფლობელი ქალბატონები არიან გერმანიიდან, ისრაელიდან, ამერიკიდან, საბერძნეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან და იმ ქვეყნებიდან, სადაც ქართველი ემიგრანტების დიდი სათვისტომოა“.

სიტყვის მადლით გაერთიანებულნი

„როგორც მორწმუნისათვის ტაძარში მოხვედრაა დიდი ბედნიერება, ასეთივე ბედნიერებაა მწერლისათვის ბიბლიოთეკაში შესვლა. დიდი მოწიწების გრძნობა გეუფლება, როდესაც აქ, წიგნების საუფლოში მოდიხარ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს შენს მშობლიურ მხარეს ეხება. ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ და არაფერია იმაზე ლამაზი და მშვენიერი, ვიდრე შენი მშობლიური კუთხე და ადგილი, სადაც ფეხი აიდგი და სადაც ყველაფერი კარგი გახსენდება. დღეს რომ იყოს პოეზიისა და ლექსის ეპოქა, დედოფლისწყარო ალბათ პირველ ადგილს დაიკავებდა, იმდენი ნიჭიერი მწერალია დედოფლისწყაროში“- ეს სიტყვები პოეტმა მაყვალა გონაშვილმა დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სტუმრობისას წარმოთქვა, სადაც ლიტერატურული კრებულის -„ჩემი ჰობი პოეზიაა“ პრეზენტაცია გაიმართა.

პერიოდული ლიტერატურული ალმანახი, რომლის სახელწოდებაც საკმაოდ დამაინტრიგებლად ჟღერს, საქართველოს მასშტაბით გამოიცემა და სხვადასხვა კუთხის პოეტებს აერთიანებს. მისი გამომცემელი გახლავთ ლერი ნოზაძე, ადამიანი, რომელიც წერს ლექსებს, თუმცა თავს პოეტად არ მიიჩნევს. პროფესიით მათემატიკოსია და მისი პროფესიიდან გამომდინარე, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ბავშვობიდან უყვარს პოეზია. თვითონ ლექსის სიყვარულს სკოლის მასწავლებელს უკავშირებს, რომელმაც შეჰყარა ეს სენი და დღემდე ვერაფრით განიკურნა მისგან. მიუხედავად იმისა, რომ არის ასოცირებული პროფესორი, გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მათემატიკის დარგში, პოეზიის ასეთმა სიყვარულმა მას შთააგონა ლექსის მწერალთათვის ალმანახის გამოცემის იდეა, სადაც ბევრ ადამიანს მიეცემოდა სარბიელი, მკითხველისთვის თავისი შემოქმედება შეეთავაზებინა.

როგორ გაიცნო მან დედოფლისწყაროელი პოეტების შემოქმედება და როგორ დაიბადა იდეა, რომ ალმანახის ერთი ნომერი სპეციალურად ჩვენი რაიონის წარმომადგენლებს დათმობოდა?-ამ კითხვას პასუხი დედოფლისწყაროს ლიტერატურული ალმანახის რედაქტორმა, გიორგი ნატრიშვილმა გასცა: „ლერი ნოზაძე იყო ჩამოსული თელავში და ის იქ გავიცანი. მთხოვა, რომ რამდენიმე ავტორი მიმეწოდებინა დედოფლისწყაროდან, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც გაეცნო ბევრი მათგანის შემოქმედებას, გადაწყდა, რომ ცალკე გამოცემულიყო ალმანახი -დედოფლისწყარო ხომ პოეტების მხარეა“.

პრეზენტაციაზე სტუმრად იმყოფებოდნენ პოეტები- თეიმურ ჩალაბაშვილი და ქეთი შენგელი. მათ დადებითად შეაფასეს როგორც კრებულის,ასევე ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯი“გამოცემა და აღნიშნეს, რომ იმ ფონზე, როდესაც საქართველოში დაიხურა ბევრი ლიტერატურული გამოცემა, ნამდვილად კარგი და მათთვის სასიამოვნოდ მოულოდნელი ტენდენციაა რაიონებში ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლების პროცესი:“ამ ჟურნალების გამოცემა არის ძალიან მნიშვნელოვანი. სად უნდა დაბეჭდოს პირველი ლექსი დამწყებმა პოეტმა? გასაგებია, რომ ცნობილი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები მათ ადგილს ვერ დაუთმობენ. ამიტომ, კარგია ასეთი ჟურნალების არსებობა, სადაც მათ ასპარეზი მიეცემათ, გააცნონ მკითხველს თავისი ლექსი თუ მოთხრობა. მისასალმებელია, რომ რაიონები ასე არიან გააქტიურებულნი. სწორედ ასეთი გამოცემები უწყობს ხელს ბევრი ნიჭიერი შემოქმედის აღმოჩენას, ამიტომ დიდი მადლობა ყველას, ვინც ასეთი ჟურნალების გამოცემაზე მუშაობს და მათ, ვინც ფინანსურად თუ მორალურად ხელს უწყობს იდეის განხორციელებას“-აღნიშნა ქეთი შენგელმა. მანვე კმაყოფილებით დასძინა, რომ დარბაზში მყოფი ახალგაზრდებიდან მოდიოდა დადებითი ემოცია, ხოლო მათი თვალებიდან იღვრებოდა პოეზიის სიყვარული...

პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და ზეიმი მოუწყეს პოეზიის მოყვარულებს. ისმოდა სამშობლოს, სიყვარულის,ლექსის სადიდებელი...

ღონისძიება შეაფასა და დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა. პრეზენტაცია მიჰყავდა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორს მანანა მაჭარაშვილს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საღამო მუსიკალურად გააფორმეს დებმა ლოლაშვილებმა, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაატკბეს მსმენელი ხალხური და საკუთარი საავტორო სიმღერებით.

დიდხანს საუბრობდნენ ღონისძიებაზე მისულები, აღარ ეთმობოდათ სტუმრებსა და მასპინძლებს ერთურთი, ერთმანეთს უზიარებდნენ იმდღევანდელ განწყობას, ყველა მთვრალი იყო ლექსის ბახუსით. იგრძნობოდა, რომ ისინი აქ არა მოვალეობის გრძნობამ, არამედ პოეზიის სიყვარულმა მოიყვანა...

ინგა შიოლაშვილი

სვლა წარსულისკენ თუ ცივილიზაციისკენ?

საქართველოს უახლესი ისტორიის სამარცხვინო თარიღებს კიდევ ერთი მიემატა: „12-13 მარტის მოვლენები აჭარაში“, რომლებიც ალბათ სხვა „საამაყო-სასიქადულო“ ქრონიკულ ნიშანსვეტებს შორის დაიმკვიდრებს ადგილს. მით უმეტეს, რომ „ბათუმის მოვლენები“, გარკვეული აზრით უნიკალური ფენომენი გამოდგა: „შუშა არ ჩამტვრეულაო“ - ხშირად ამაყობდნენ თბილისში კომიკურად. ჰოდა „შუშა ჩაიმტვრა“ კი არა, ეგ ზალტირებულმა ბრბომ საკუთარი ქალაქი ლამის გადაწვა.

„მშვიდობიანი პროტესტის უფლება“ თავისთავად არაკომპეტენტური და დემაგოგიური თეზისია: „გამოხატვის“ უფლება ერთია, მაგრამ როდესაც ბრბო არა მხოლოდ „გამოხატავს“, არამედ პოლიციისათვის უკანონო წინააღმდეგობის გამო დაპატიმრებულთა გათავისუფლებას მოითხოვს, ეს უკვე „გამოხატვა“ კი არა, ულტიმატუმია!

საბაბს რაც შეეხება, მართლაც მხოლოდ „საბაბია“, თუმცა მასზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა: მადლობა ღმერთს საზღვრები კარგა ხანია გაიხსნა და ბევრ ჩვენგანს მსოფლიო გვაქვს მოვლილი. თუ, ალბათ, ინდოეთსა და ეგვიპტეს არ ჩავთვლით, ასეთი ამაზრზენი საავტომობილო მოძრაობა, როგორიც საქართველოშია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის. და ამ მხრივ, საქართველოშიც, ბათუმი რაღაც განსაკუთრებული ფენომენია!

„დაჯარიმება როგორ გამიბედე ჩემსავე ქალაქშიო“ - ამ ქაოსის სრულიად ბუნებრივი გამოხატულებაა. მით უმეტეს, როდესაც მიაჩნია, რომ ვიღაც „სხვა“ აჯარიმებს, („გორიდან ჩამოთრეული“) ვისაც ამის უფლება არა აქვს.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, თითქოს ბევრად ჭკვიანური იქნებოდა ხელისუფლებას „ადგილობრივი კადრი“ შეერჩია, სწორედ ამას აკეთებდა ცენტრალური მთავრობა (წინაც და დღევანდელიც) მთელი ამ წლების განმავლობაში, მაგრამ ის „ადგილობრივი კადრი“ ადგილობრივი საზოგადოების გაღიზიანებას ვერ ბედავდა „აბეზარი ჯარიმებით“, რომლებიც „ადგილობრივებს“ რაღაც შემაწუხებელ, „გარედან“ თავსმოხვეულ ლამის „იმპერიალისტურ“ მონაგონად მიაჩნიათ, ხოლო მათ წინააღმდეგ ბრძოლა - „ავტონომიურობისაკენ სწრაფვის გამოვლინებად“.

ოღონდ, მთლიანობაში, ეს ჯარიმები მხოლოდ საბაბია და მეტი არაფერი. მათი მეშვეობით, 12 მარტიდან „გადმოინთხა“ დიდი ხნის ნაგროვები ბოღმა, რომელმაც მანამდე სხვა რაიმე უფრო საგნობრივი და არსებითი საბაბი ვერ ნახა. ეს „უკმაყოფილება“ წლობით გროვდებოდა და კიდევ კარგი, ისეთ მართლა სისულელეს დაემთხვა „საბაბად“, როგორიც ავტოჯარიმაა და არა სხვა, რამე მართლა უფრო არსებითს. მაგალითად, „მეჩეთის“ საკითხს, თუმცა ეს ყოველივე წინაა: თუ ასე გაგრძელდა და ხელისუფლებამ სრული უმწეობა გამოამჟღავნა პროვოკატორთა დასჯაში.

კლასიკური მაგალითია ის „ვინმე ღობერიძე“, რომლის „საქმიანობა“ პირდაპირ შეესაბამება სსკ მუხლს, თუმცა ჯერ-ჯერობით არავინ არაფერს ეკითხება. ჭორები „პოლიციის უფროსმა თათრები გვიწოდაო“, აშკარად თითიდან გამოწოვილი ტყუილია, - ჩვეულებრივი, ბინძური სეპარატისტული მონაჩმახია აგრესიის გასამართლებლად. მიდი და უმტკიცე „არ უთქვამსო“. არავითარი აზრი არა აქვს.

12-13 მარტის „ბოღმის ნთხევის“ სიღრმისეული მიზეზი კი უფრო სისტემურ ცვლილებებშია საძიებელი, რაც აჭარამ განიცადა ბოლო 15 წლის განმავლობაში: მიმდინარეობს ადგილობრივი მასშტაბის „გლობალიზება“ - ბათუმის სწრაფი განვითარების, ინვესტიციების, ტურისტული ბუმის, მოსახლეობის მიგრაციისა და ცხოვრების წესის ბუნებრივი ცვლის შედეგად; საფუძველი ეცლება და იშლება ის „მიკროსაზოგადოება“, რომელიც მენტალური და სოციოფსიქოლოგიური ავტონომიის სახით არსებობდა აჭარაში.

სწორედ ეს „მენტალური ავტონომია“ იყო იქ მთავარი და არა ის, რაც ქაღალდზე დაიწერებოდა ან რა უფლებები ექნებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას, - დანიშნავდა თუ არა დამოუკიდებლად პოლიციის უფროსს და ა.შ.

ამ პროცესს ბუნებრივად ემატებოდა საქართველოსთვის ზოგადად დამახასიათებელი კუთხურობა: „ავტონომიური“ სოციუმი თავს იცავდა სხვადასხვა მენტალური „კორელანტების“ გამოგონებით, სტერეოტიპებით, რაც წლების განმავლობაში გროვდებოდა დისკურსში „ჩვენ და ისინი“, „ბათუმელები და თბილისელები“, ბოლოს კი მძვინვარე აგრესიით გადმოინთხა.

ტყუილად გვაქვს იმედი, რომ ნებისმიერი ცვლილებით, პოლიციის უფროსის გადაყენებით, ე.წ. „ადგილობრივი კადრის“ დანიშვნით და ა.შ - ამ აგრესიას დავაშოშმინებთ, რადგან ეს არა უბრალოდ თავისთავადობის და კუთხურობის, არამედ „ავტონომიური იდენტობის“ გამოვლინებაა: თავის დროზე ეს ავტონომია ცარიელ ადგილზე არ შექმნილა და არც ასლან აბაშიძის ფენომენი იყო უსაფუძვლო: სწორედ ის „ძველი იდენტობა“, რომელსაც ეკონომიკური და სოციალური საფუძველი ეცლება მასშტაბური სოციო-ეკონომიკური პროცესების და აჭარის ურბანიზების შედეგად, იბრძვის ახლა თავის შესანარჩუნებლად და აქ არავითარი კომპრომისი არ შეიძლება არსებობდეს თეორიულადაც კი: ან ის გაიტანს თავისას და აჭარას წარსულში შეაბრუნებს, ან გატყდება და ახალ რეალობას შეურიგდება.

ერთი წუთით არ შეგეპაროთ ეჭვი, რომ ეს ბნელი ინსტინქტი, თუ მისი ნება იქნა, ბათუმსა და მთელს აჭარას „წინარეინდუსტრიულ“ ხანაში დააბრუნებს (როცა ბათუმში ერთად ერთი „ინტურისტი“ იყო), ვიდრე ურბანიზებას და ცივილიზაციას (მათ შორის, ბუნებრივია, ავტო-ჯარიმებს) შეურიგდება.

საერთო-ქართული პოლიტიკური დისკურსი ამ პრობლემის გადასაჭრელად არ გამოდგება, ვინაიდან იმ ნაძირალებს, ვინც „საქართველოს რა...“ გაიძახოდნენ ბათუმის ქუჩებში, ყველა ერთნაირად სძულთ; ისევე, როგორც ყველა თბილისელი (გორელი, კახელი, ზუგდიდელი) ვინც აიძულებთ ახალი ეპოქის სულისკვეთებას თვალი გაუსწორონ და ჩვეული ორლობიდან მიღმა გადაიხედონ.

მიღმა, სადაც ცივილიზაცია და ჯარიმებია.

გაუდაბნოების წინააღმდეგ შეგვიძლია ფისტას ნერგები გამოვიყენოთ

(მესამე გვერდიდან)

კვალობაზე იძულებულები გავხდით, დაგვეწყო უკვე მეორე პროექტი „ფისტა ჩვენს ოჯახში“, რომელშიც ჩართულია ასობით ოჯახი და უკვე მოვიცავით მთელი საქართველო. პროექტი გრძელდება და უახლოეს პერიოდში მოსახლეობაში ნერგების კვლავ დარიგებას ვგეგმავთ.

– ახლა რა ეტაპზე ხართ?

– ამჟამად ბევრი განაცხადია შემოსული, მოსალოდნელზე მეტი მსურველია დარეგისტრირებული, მაგრამ მოგეხსენებათ, გაზაფხულზე ნერგების გამოყვანის პროცესი მიმდინარეობს. სავარაუდოდ, მაისის ბოლოდან გვექნება შესაძლებლობა, კვლავ განვაახლოთ ფისტას ნერგების გაცემა წინასწარ რეგისტრირებულ მოქალაქეებზე.

– მათთვის, ვისაც ფისტას შესახებ არ სმენია, რა გაქვთ სათქმელი, რითია ეს კულტურა საინტერესო და მიმზიდველი?

- თქვენ იმ საკითხს შეეხეთ, რასაც ჩვენი წევრებისა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უსვამს ხაზს. ლოგიკურიცაა, რადგან, როცა არ არსებობს არანაირი ინფორმაცია ფისტას შესახებ, პირველი კითხვა მის ეკონომიკურ სარგებლიანობაზე ჟღერს, შემდეგ ჩნდება სხვა კითხვებიც. მინდა გითხრათ, რომ ფისტა არის ყველაზე კონკურენტუნარიანი სახეობა სხვა კაკლოვანებთან შედარებით. ამაზე მეტყველებს მისი ფასი, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ეს კი განპირობებულია ფისტას უნიკალური თვისებებით, რაც მის ფართო გამოყენებაში ვლინდება. მაგალითად, ფისტა აქტიურად გამოიყენება საკვებად, კულინარიასა და მედიცინაში. ეს ყველაფერი ერთად მის მოთხოვნასა და ღირებულებას განსაზღვრავს. გასული წლის ოქტომბერში ჩვენ გვყავდა ჩამოყვანილი ამერიკელი ექსპერტი და რამოდენიმე დღიანი სემინარები გამართა ჩვენი წევრებისთვის და შეხვედრებისას ისიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოში ყველანაირი პირობა არსებობს იმისა, რომ მივიღოთ მიღალი ხარისხის ფისტას პროდუქტი. ასოციაცია მომავალშიც აპირებს სხვა გამოცდილი ექსპერტების ჩამოყვანას, რათა საქართველოს მოსახლეობაში ამაღლდეს ცოდნა ფისტას კულტურასთან დაკავშირებით.

- როგორც ჩანს თქვენც დარწმუნდით, რომ ჩვენს ქვეყანაში ფისტას ჯიშზე ინფორმაცია ნაკლებად აქვთ

- ფისტას შესახებ მოსახლეობაში ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს და სწორედ აღნიშნეთ, როცა პოპულარიზაციის საქმეში ფისტას ასოციაციის როლზე გაამახვილეთ ყურადღება. როცა საქმიანობა დავიწყეთ, არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა მოსახლეობაში ფისტას შესახებ. სწორედ ამ ინფორმაციის მიწოდების პროცესმა წაიღო ძალიან დიდი დრო, შრომა და ენერგია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა კარგად გააზრებულმა ნაბიჯებმა საკმაოდ კარგი შედეგიც გამოიღო და დღეს ფისტას შესახებ ძალიან დიდი ინტერესი არსებობს, ხალხი მზად არის ფისტას ბაღებიც კი გააშენოს. ამისთვის მათ სჭირდებათ გარკვეული სახის დაფინანსებები და ხელშეწყობები. ჩვენი ასოციაციის მიზანიც სწორედ ეს არის, რომ მსგავს პროგრამებში ჩაერთოს ფისტას კულტურაც და მოსახლეობასაც ჰქონდეს ფისტას გაშენების მეტი შესაძლებლობა. როდესაც პირველ ეტაპზე მონასტრებში დავიწყეთ ფისტას დარგვა, ძალიან დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინეს მონასტრებმა და ცალკეულმა სასულიერო პირებმა. მოგვიანებით ძალიან ბედნიერები ვიყავით, როცა აღმოვაჩინეთ, რომ უწმინდესმა გამოხატა დაინტერესება. თავად პატრიარქიც კი შეგვხვდა, დიდი გულისყურით გაეცნო და მოგვიწონა საქმიანობა. შეხვედრისას აღნიშნა, რომ ფისტას განვითარებას აქვს დიდი მომავალი საქართველოში და დალოცა ჩვენი ასოციაცია და საქმიანობა. ჩვენც შევეცადეთ, იმ თანადგომისა და ზრუნვისათვის, რომელსაც იჩენს ჩვენი უწმინდესი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მცირედით გამოგვეხატა მოკრძალებული პატივისცემა და ავირჩეთ ჩვენი ასოციაციის აკადემიური საბჭოს საპატიო პრეზიდენტად.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ჩვენს თანამოქალაქეებს არ აქვთ სრულყოფილი ცნობები ფისტას შესახებ, როგორც ჩანს ჩვენს შორეულ წინაპრებს გარკვეული შეხება ამ კულტურასთან ჰქონდათ. ამაზე მეტყველებს თეიმურაზ II-ის „ხილთა ქება“ სადაც, მას ფისტაზე დათმობილი აქვს მთელი 31-ე სტროფი და ასევე სულხან-საბა ორბელიანიც თავის ლექსიკონში გვთავაზობს ფისტას შესახებ განმარტებას. თუ რატომ დავინტერესდით დღეს მე და ჩემი მეგობრები ამ კულტურით ბევრი მიზეზი არსებობს ამისა, უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ფისტა ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეა, ჩვენთან კი დეგრადირებული ლანდშაფტები საკმაოდაა. ასეთი მიწები, სამწუხაროდ, საქართველოში უყურადღებოდ გვაქვს მიტოვებული და მათი მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება. ვფიქრობთ, ასეთ ვითარებაში ფისტას გამოყენება დადებით შედეგებს მოგვიტანს.

- იმის გათვალისწინებით, რომ დედოფლისწყაროც გაუდაბნოების წინაშე დგას და ყველაზე მეტად ნიადაგის ეროზია სწორედ ჩვენს რაიონში შეინიშნება, ვფიქრობ, ბევრი დაინტერესდება ამ კულტურით. მოდით, კიდევ ერთხელ გვიამბეთ იმ პროცედურების შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მოქალაქეებს ამ ნერგების უფასოდ მიღება?

- ამ ეტაპზე ჩვენი ვებ-გვერდი არ მუშაობს, მაგრამ მსურველებს შესაძლებლობა აქვთ სოციალურ ქსელში ინტერნეტით მოძებნონ ჩვენი ფეისბუქ გვერდი, სახელწოდებით: „საქართველოს ფისტას ასოციაცია“. იქ მონახავთ სპეციალურად რეგისტრაციისთვის შედგენილ სააპლიკაციო ფორმას, აუცილებელია მისი შევსება და გადაგზავნა ასოციაციაში, რათა მსურველთა რიგში ჩადგეთ. მას შემდეგ, რაც ასოციაცია სხვადასხვა ტერიტორიაზე დაასრულებს ნერგების გამოყვანას, შესაბამისი ოდენობის მსურველებს თავად დავუკავშირდებით და გადავცემთ ნერგებს. მივესალმებით თითოეული მათგანის აქტიურობას: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ფისტას კულტურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდეს და სურვილის შემთხვევაში ყველა მოქალაქისათვის იყოს შესაძლებელი ოჯახურ ბაღში ჰქონდეს ამ საოცარი კაკლის ხეები. დარეგისტრირებული მსურველი ბევრია, მაგრამ პრიორიტეტს მივანიჭებთ ისეთ რეგიონებს, სადაც ეს მცენარე ნაკლებადაა დარგული და ასევე პრიორიტეტული იქნება ის რაიონები, სადაც გაუდაბნოების პრობლემა დგას.

ილია მარტყოფლიშვილი

ვინ ველარ ისარგებლებს ერთდროულად საყოველთაო ჯანდაცვისა და კერძო სადაზღვევო პაკეტით

საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 900 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი 40 000 ლარს არ აღემატება, საყოველთაო ჯანდაცვისა და კერძო სადაზღვევო შემავსებელი პაკეტით ერთობლივად სარგებლობის პრივილეგია არ ექნებათ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარებისთვის დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდება. დეტალების შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგი გამართა.

საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეების რაოდენობა, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 900 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი 40 000 ლარს არ აღემატება 300 000-ს შეადგენს. მათ კერძო სადაზღვევო შემავსებელი პაკეტით სარგებლობის პრივილეგია არ ეძლევათ.

„მათ ექნებათ ასეთი არჩევანი: ან უნდა ჰქონდეთ საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტი, ან უნდა აიღონ კერძო სადაზღვევო პაკეტი. ორივეთი ერთად სარგებლობის უფლება, პრივილეგია, მათ არ მიეცემათ. საყოველთაო ჯანდაცვაში მათ არსებულ პაკეტში გარკვეული ცვლილებები მოხდება. ის არის საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანი, რომელმაც გარკვეული, მცირე დანახარჯი უნდა გასწიოს თავისი ჯანდაცვისათვის, რათა დაზოგილი თანხები გადავამისამართოთ მედიკამენტის კომპონენტში და მივცეთ მედიკამენტები მათ, ვისაც ეს ყველაზე უფრო მეტად სჭირდება“, - განმარტა ჯანდაცვის მინისტრმა.

იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი კატეგორიის მოქალაქე საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტს აირჩევს, ურგენტული სტაციონარით სარგებლობის შემთხვევაში ის სახელმწიფოსგან მიიღებს 90 პროცენტიან დაფინანსებას, ხოლო თავად 10 პროცენტის გადახდა მოუწევს. გასულ წლებში სახელმწიფო ურგენტულ სტაციონარს 100 პროცენტით აფინანსებდა.

„გარდა ამისა, თუკი გეგმურ სტაციონარში რაიმე მკურნალობა ჯდება 1000 ლარზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში ამ კატეგორიის პირებმა თვითონ უნდა გადაიხადონ ეს თანხა. ხოლო თუკი 1000 ლარს ასცდა, 1001 ლარიდან ზევით, მათზე უკვე განხორციელდება ის ლოგიკა, რითაც მუშაობს საყოველთაო ჯანდაცვა. გეგმურში ეს არის 70%-იანი გადახდა სახელმწიფოს მხრიდან, 30% – მათ მიერ.

ხაზს ვუსვამ, რომ მათ ვერ მიეცემათ პრივილეგია ისარგებლონ ორივეთი - შეინარჩუნონ საყოველთაო ჯანდაცვა და შეიძინონ ზედნაშენი“, - განმარტა დავით სერგეენკომ.

ამასთან, აღნიშნულ კატეგორიას ჯანდაცვის სახელმწიფო სხვა პროგრამები უნარჩუნდება, ისეთი როგორიც არის, მაგალითად, C ჰეპატიტის მკურნალობა, ინფექციური დაავადებები, ტუბერკულოზი, დიაბეტი, ინსულინდამოკიდება და სხვ.

რა შეღავათებით ისარგებლებენ 900 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები

ყოველთვიურად 900 ლარზე ნაკლები და არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეებს გარდამავალი ეტაპის შეღავათები მიეცემათ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარებისთვის დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდება. დეტალების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგზე ისაუბრა და სხვა კატეგორიებთან ერთად, დაბალი და არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეებთან დაკავშირებულ პირობებზე ისაუბრა.

”მათთან მიმართებაში ჩვენ გვექნება განსაკუთრებული გარდამავალი პერიოდი. ამ კატეგორიაში კერძო დაზღვევის მქონე ადამიანების რაოდენობა ძალიან დაბალი იყო. ამ ადამიანებს არ აქვთ ჩამოყალიბებული კერძო სადაზღვევო ინდუსტრიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები. მათთვის შეიძლება დამაფრთხობელი იყოს, რომ რაღაც უმცირდებათ. გვექნება გარდამავალი ეტაპი, როდესაც მათ აქტიურად დავეხმარებით, რომ სწორი პაკეტი მოიძიონ. ნებისმიერ შემთხვევაში - ისინი დარჩებიან საყოველთაო ჯანდაცვის შემცირებული პაკეტის მონაწილეები, თუ გადავლენ კერძო დაზღვევაში, მათ უნარჩუნდებათ ზედნაშენი პაკეტის გარკვეული ნაირსახეობის პრივილეგია. სახელმწიფო აგრძელებს ზრუნვას მათი გადაუდებელი მდგომარეობის მართვაზე და აფინანსებს ისე, როგორც აქამდე აფინანსებდა. თუმცა, თუკი ისინი გადაწყვეტენ, რომ დამატებითი პაკეტი და მხოლოდ გეგმური სერვისები შეიძინონ, წინასწარი გათვლებით, მათ ეს დაუჯდებათ 10-დან მაქსიმუმ 15 ლარი

თვეში, ანუ საკმაოდ მცირე თანხა”, - განმარტა დავით სერგეენკომ.

ამასთან, მინისტრმა განმარტებები გააკეთა დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებთან მიმართებაში, რომლებიც სოციალურად დაუცველთა კატეგორიაში ვერ მოხვდენენ და 70 000-დან 100 000-მდე ქულა აქვთ.

”ისინი რეალურად მართლაც შეჭირვებულები არიან. მათთან იქნება ასეთი მიდგომა, მათ უცვლელად შეუნარჩუნდებათ ის პაკეტი, რასაც საყოველთაო ჯანდაცვა სთავაზობთ. პლუს დაემატება პრივილეგია, თუკი ვინმე შეუძენს დაშენებულ პაკეტს, შეუძლიათ ორივე პაკეტით სარგებლობა. ძალიან მაღალი ალბათობით, მათზეც გავრცელდება ქრონიკული დაავადებების სამართავად საჭირო მედიკამენტების მიღების პრივილეგია”, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

რაც შეეხება 6-დან 18 წლამდე მოზარდებს, მათ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების მოცულობა უცვლელად უნარჩუნდებათ და ენიჭებათ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებითა და კერძო სადაზღვევო (შემავსებელი) პაკეტით სარგებლობის პრივილეგია.

ამასთან, მინისტრმა ”ზედნაშენის” ცნება განმარტა. ”თუკი მოქალაქეს რაღაც სერვისებს უფინანსებს სახელმწიფო, მათ შეუძლიათ შეიძინონ ისეთი პაკეტი, რასაც არ დააფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, პლუს შეუძლიათ თანაგადახდის დაფარვა, მაგალითად, საყოველთაო უფინანსებს 70%-ს, მათ შეუძლიათ იყიდონ პაკეტი, რომელიც დანარჩენ 30 %-ს დააფინანსებს”, - განმარტა ჯანდაცვის მინისტრმა.

ვინ ისარგებლებს მედიკამენტებით უფასოდ

5 წლამდე ბავშვებს, სტუდენტებს, პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, პედაგოგებსა და სოციალურად დაუცველებს საყოველთაო ჯანდაცვით მედიკამენტებით სარგებლობაც შეეძლებათ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ცვლილებების თანახმად, მიზნობრივ ჯგუფებს ამბულატორიულ მედიკამენტებთან წვდომა ექნებათ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარებისთვის დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდება. დეტალების შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგზე ისაუბრა.

მიზნობრივ ჯგუფებში შედიან: 0-5 წლამდე ასაკის ბავშვები, სტუდენტები, პენსიონერები, შშმ პირები, პედაგოგები, სოციალურად დაუცველები. მათი რაოდენობა 1 700 000-მდეა, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს განმარტებით, მედიკამენტებზე წვდომა ექნებათ მხოლოდ იმ ბენეფიციარებს, რომელთაც სჭირდებათ.

ცვლილებების თანახმად, მიზნობრივ ჯგუფებს ემატებათ წვდომა ამბულატორიულ მედიკამენტებთან, ენიჭებათ პრივილეგია ერთდროულად ისარგებლონ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებითა და კერძო სადაზღვევო (შემავსებელი) პაკეტით. ამასთან, მიზნობრივ ჯგუფებს უნარჩუნდებათ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების მოცულობა უცვლელად.

“სამი ეშელონი რომ წარმოვიდგინოთ - პირველი ეშელონია ის, რის გააქტიურებასაც ჩვენ ვაპირებთ. ეს არის გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრაქტიკულად ყველა დაავადებისთვის (მაღალი არტერიული წნევა, კორონალური დაავადება, გულის უკმარისობა) საჭირო მედიკამენტები. მეორე ეს არის დიაბეტის მეორე ტიპის სამკურნალო მედიკამენტები - ინსულინდამოკიდებულს ისედაც ვაძლევთ ინსულინს. შემდეგი ეს არის ბრონქიალური ასთმის სამკურნალო მედიკამენტები. შემდეგი არის ფილტვების ქრონიკული დაავადების სამკურნალო. ეს არის ოთხი მთავარი დიდი მოცულობის ქრონიკული დაავადება. ამ დაავადებების სამართავი მედიკამენტები იქნება პირველი ეშელონი, რასაც ჩვენ გავაჩენთ. ეს არის მედიკამენტების მოცულობა. შემდგომ უფრო გაფართოვდება. ეს ყველაფერი გავრცელდება მათზე, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება. ეს იქნება სოციალურად დაუცველი მოსახლეობა - ასეთი მთლიანობაში მიმღები 700 000-მდეა. დეფინიცია მარტოხელა პენსიონერი ცალსახად განსაზღვრული არ არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს მონაცემები, თუმცა ყველა ასაკით პენიონერზე ეს ვერ გავრცელდება. როდესაც ჩვენ ბაზები ვნახეთ, 40 000 ლარზე მეტი შემოსავალი 3600 ასაკით პენსიონერს ჰქონდა. რა თქმა უნდა, მათ ჩვენ ვერ და არ დავეხმარებით ამ მედიკამენტების მიწოდებაში. ესენი იქნება

სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და პენსიონერების ის ნაწილი, ვისაც რეალურად სხვა შესაძლებლობა არ აქვს. ამ მედიკამენტებზე დიდი იმედი მაქვს, რომ ივნისისთვის ეს პროექტი ამუშავდება, იქამდე მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება, დღეს თუ ასაკით პენსიონერს ეხარჯება გასაშუალოებული 25-30 ლარი თვეში მედიკამენტების წილად, მათ ეს ყველაფერი სიმბოლური თანაგადახდის პროცენტით დარჩება, რომ არასაჭირო გამოწერები შეამციროს და თვეში მაქსიმუმ ერთი ლარი დაუჯდება ამ დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები, მაქსიმუმ ერთი ლარი”, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

აკაკი ლომაშვილი



მეორედ მოვიდა გაზაფხული და შენი დაბადების დღე უშენოდ, დაბადების დღეს სიხარულით ულოცავენ ახლობლებს. მეც გილოცავ 60 წლის იუბილეს, ოღონდ ცრემლით, ტკივილით და დიდი მონატრებით, შენ ხომ ძალიან გიყვარდა ამ დღის აღნიშვნა, და როცა ხალხმრავლობა იყო ჩვენს სახლში, სულ კარგ ხასიათზე იყავი.უცნაური ბუნების იყავი, დიდი ბავშვი, რომელსაც მალე გწყინდა და პატარა რამეც გიხაროდა.

ცხოვრებამ მწარე გამოცდები მოგვიწყო და შენც ხელი ჩაიქნიე, ავადმყოფობამ ძალიან დაგჩაგრა და მოგერია, უიმედო მდგომარეობაში მყოფი ვერ გაუმკლავდი პრობლემებს, უბრძოლველად მიყევი და ჩაიძირე და დარჩი ყველასგან გარიყული. ამიტომაც ვერ გაუძლო შენმა გულმა ინფარქტს, ხოლო შენმა თავმა – ინსულტს. მთელ დროს საავადმყოფოში და ექიმებში ვატარებდით, მაგრამ ყველაფერი უშედეგო გამოდგა. „რატომ ეს ყველაფერი“? ამ კითხვას მთელი ცხოვრება ვერ მოვიშორებ. რატომ ვიყავით ყველაფერში ასეთი უიღბლოები. როცა ცუდად გრძნობდი თავს, ბავშვივით გვერდიდან არ მიცილებდი, მაგრამ ესეც ბედი იყო, იმ საზარელ წუთებს მარტო რომ შეხვდი, მთელი ცხოვრება მტანჯველ ფიქრებს ვერ მოვიშორებ.

დრო არაფრის მკურნალი არ ყოფილა, არამედ იმ ადგილას ჩერდება, სადაც ის საშინელება იწყება, დრო ტკივილსა და დარდს უფრო ამძაფრებს, როგორ წავშალო ის შემზარავი დღე, რითი ვინუგეშო თავი, ამდენ მწუხარებას გული როდემდე გაუძლებს, წახვედი და დამიტოვე უსასრულო მოლოდინი და სულის სიცარიელე.

ჩემი პატარა ნუგეში შენი საყვარელი თაკოა. არდადაგებს, სულ ჩემთან ატარებს, სულ შენ გიგონებს, შენს ვიდეოებს უყურებს, ნატრობდი, მის დაქალებას მოვესწროო. მტკივნეულია, რომ ისიც ბავშვობიდანვე დაიჩაგრა, შენი წასვლის ერთი თვის შემდეგ დედამისი ნინოც, 33 წლის ასაკში, შენს გზას გამოჰყვა. ის ხომ შენი საყვარელი რძალი იყო.

ერთხელ მითხარი, რომ მოვკვდები, შენ აქედან წახვალო, მაგრამ მაშინაც გითხარი და ახლაც გეფიცები, არასოდეს წავალ, არ მივატოვებ შენს ფუძეს და უსასრულოდ დაგელოდები. შენ ჩემი ცხოვრების მწარე ტკივილი ხარ, თუ სადმე ვარ წასული, მინდა ჩქარა დავბრუნდე, რადგან შენ არ გიყვარდა, რომ დამეგვიანა და მგონია, ახლაც სულ მელოდები.მერე შენს სურათს ვესაუბრები, იმიტომ, რომ ბევრი რამ დამიგროვდა შენთან სათქმელი.

ახლა ჩვენს საბოლოო სახლს გავაკეთებ ისეთს, შენ რომ მოგეწონებოდა და მერე შენთან შეხვედრას დაველოდები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. მაპატიე თუ რამე გაწყენინე, მე კი შენი წყენა აღარც კი მახსოვს.

მონატრებით,
შენი უნუგეშო ცოლი ᲗᲐᲛᲠᲘᲙᲝ.

ვეხმაურებით დაბეჭდილს

ქალაქის სისუფთავეზე, მართლაც რომ, უნდა ვიზრუნოთ!

ძვირფასო რედაქცია, ჩვენი ოჯახები თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველები ვართ. ძალიან გაგვიხარდა, გაზეთის მეექვსე ნომერში მუნიციპალიტეტის გამგებლის ინტერვიუ რომ წავიკითხეთ სათაურით „როგორ ვიზრუნოთ სისუფთავეზე?!“ მართლაც, საჭიროა სანქციების გამკაცრება იმათ მიმართ, ვინც შეგნებულად, დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით ანაგვიანებს ქალაქის ქუჩებს. გვესიამოვნა ისიც, რომ ახალი ნაგავმზიდი მანქანები გვაქვს და სამომავლოდ,სულ ცოტა ხანში,100 ახალი სანაგვე ურნა განთავსდება ჩვენს სოფლებში. თუმცა, აქვე თვალწინ დაგვიდგა ქალაქის ქუჩებში განთავსებული სანაგვე ურნები, რომლებსაც სიძველისგან აღარც ძირი აქვს, აღარც გვერდები და კონკიას კაბასავით მრავალგან ადევს საკერებელი. მაგალითისთვის ჩვენს ქუჩას, ევდოშვილის ქუჩას მოვიშველიებთ. ამ მოკლე ქუჩაზე სამი-ოთხი ძველი სანაგვე ურნა დგას თავსახურის გარეშე.

ამ ქუჩის მაცხოვრებლები ძალიან მოწესრიგებულები არიან, ნაგავს ურნაში ჰყრიან, თავსახურად ზოგან თუნუქის, ზოგან „შიფერის“ ნაჭრებიც დავაფარეთ, მაგრამ ქალაქში უზომოდ გამრავლებული მაწანწალა ძაღლები არც სახურავს აჩერებენ და გამოგლეჯილი გვრდებიდანაც სულ გარეთ გამოაქვთ ნაგავი. სულ ურნის გარშემო მიმოფანტული ნაგავის ხვეტაში ვართ, მაგრამ სისუფთავე ვერ დაგვიცავს. ახლა სითბო უკვე ჩავარდა, მალე გაზაფხულიც მოვა, ამ თავღია და გაუბედურებულ ურნებს უამრავი მღრღნელი და მწერი დაესევა. ჩვენი თხოვნა იქნება როგორც რაიონის, ასევე „სერვისი -2007“-ის ხელმძღვანელობის მისამართით, გაითვალისწინონ ეს ყველაფერი და ქალაქში არსებული ძველი და უსახურავო ურნების გამოსაცვლელად შეიძინონ ახალი ურნები და ჩვენც გაგვახარონ ისე, როგორც იმ სოფლების მაცხოვრებლები, სადაც ახალი ურნები დაიდგმება. ვთხოვთ, შეგვიქმნან სათანადო პირობები, რომ დავიცვათ სისუფთავე და მერე მოგვთხოვონ კიდეც პასუხი. ჩვენც ძალიან გვინდა, ქალაქს ქალაქის იერსახე ჰქონდეს და უცხოდ მოსულმა ადამიანმა არ იფიქროს, რომ ამ ხალხს თავისი ქალაქი არ უყვარსო.

პატივისცემით, ლუიზა და ფატი ზურაშვილები, დარეჯან, მარინა და ნანა ზალდასტანიშვილები, ლალი ბასილაშვილი, ანზორ შანშიაშვილი, ვალერი კვანჭილაშვილი, ზურაბ ალადაშვილი და სხვები.

ულოცავენ!

ზვიად ჯავახიშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო დაბადების დღეს ულოცავს საკრებულოს თავმჯდომარეს ზვიად ჯავახიშვილს და უსურვებს მას წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნანუკა და საბა ნასრაშვილებს!

ვულოცავ ჩემს ნანატრ და უსაყვარლეს შვილიშვილებს – ნანუკას დაბადებიდან 3, ხოლო საბას 2 წლისთავს.

ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და კარგ მომავალს მშობლებისა და ახლობლების სასახელოდ.

ნანი ბაღაშვილი, **სოფელი ზემო მაჩხაანი.**

22 წლის შოთა მჭედლიშვილის გადასარჩენად

კვლავ მძიმეა დედოფლისწყაროში, ზემო ქედი-თბილისის მაგისტრალზე ავტოავარიისას დაშავებული 22 წლის შოთა მჭედლიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სტიქაროსანი სამი კვირაა კომაშია... ამასთან ერთად აქვს მრავლობითი დაზიანება, ტვინის შეშუპება, ჰემატომა ფილტვებში, ფეხის და ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა.

დაშავებული არამიანცის სახელობის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება. მას უკვე ამოეწურა სადაზღვევო დაფინანსება, რის გამოც დღეღამეში 600 ლარის გადახდა უწევთ, ოჯახს კი ამის ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია. დახმარების მსურველებს შეგიძლიათ თანხა ჩარიცხოთ და წვლილი შეიტანოთ შოთა მჭედლიშვილის გადარჩენის საქმეში.

ანგარიშის ნომერია:
GE 05 BG 000 0000 754 131 100

15 მარტს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე ადგილობრივი ძალებით შოთა მჭედლიშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი „სიკეთე გადამდებია“ ჩატარდა. საღამო დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა და მასში ადგილობრივი ანსამბლები და შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

როგორც საღამოს წამყვანმა თათული ხუციშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, საღამოს საკმაო გამოხმაურება ჰქონდა, ბევრმა ადამიანმა გამოხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა, რამაც ორგანიზატორების კმაყოფილება გამოიწვია.

„ბილეთებიც საკმაოდ გაიყიდა, გვერდით დაგვიდგა როგორც გამგეობა, ისე პოლიციის რაიონული განყოფილება და თავისი წვლილი შეიტანეს შოთა მჭედლიშვილის გადარჩენის საქმეში. ამიტომ, კმაყოფილი ვართ დღევანდელი დღით. არ ველოდით ამხელა მხარდაჭერას. კონცერტის მსვლელობისას შემოსასვლელში განთავსებული იყო შესანირი ყუთი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისთვის სასურველი თანხა გაეღო. საბოლოო ჯამში, საკმაო თანხა მოგროვდა, რითიც ამ ოჯახის რთულ მდგომარეობას ოდნავ მაინც შევეხიდებით. კულტურის სამსახურიც გვერდით დაგვიდგა და ყველა ვინც ამ საღამოში მონაწილეობდა, უყოყმანოდ დაგვთანხმდა, რომ ეს კეთილი საქმე ერთად გვეკეთებინა.

„ჩვენს თანატოლს დახმარება ესაჭიროება, საკმაოდ მძიმე ვითარებაა, უგონოდ იმყოფება, ტვინის შეშუპება განუვითარდა, ასევე ჰემატომა ფილტვებში და მრავლობითი მოტეხილობები. ამიტომ მეგობრები შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, საქველმოქმედო ღონისძიება ჩაგვეტარებინა, რის შემდეგაც შემოწირულობის სახით გარკვეული თანხის მობილიზებას მოვახდენდით და დავეხმარებოდით მის გამოჯანმრთელებას. სოლიდურ ხარჯებს მოითხოვს მისი მკურნალობა, რისი საშუალებაც ოჯახს აღარ დარჩა - ამბობს მარიამ უთრუთაშვილი.

ღონისძიების ბოლოს, წამყვანებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს, რაიონულ პოლიციას და ყველა იმ ორგანიზაციასა და რიგით მოქალაქეს, ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ახალგაზრდა ადამიანის გადასარჩენად. ორგანიზატორებმა დიდი იმედი გამოთქვეს, რომ შოთიკო მალე გამოჯანმრთელდება და ისევ გააგრძელებს აქტიურ ცხოვრებას

ილია მარტყოფლიშვილი

მეწარმეთა საყურადღებოდ!

შპს „ლაშარი+“ შეგახსენებთ, რომ 2016 წლის წლიური დეკლარაციების ჩაბარების ბოლო ვადაა 2017 წლის 1აპრილამდე, რის შემდეგაც მოხდება საგადასახადო კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული ჯარიმების დარიცხვა დეკლარაციების წარუდგენლობაზე.

გაითვალისწინეთ, რომ დეკლარაციების ჩაბარება ეკალება როგორც მიკრო ბიზნესის, ისე მცირე, ფიქსირებული გადასახადების გადამხდელებს და ჩვეულებრივ ინდმეწარმეებს.

იურიდიული პირების (შპს, სააქციო სახოგადოება, კავშირები) მიერ გასათვალისწინებელია, რომ საგადასახადო კოდექსის მიხედვით მკვეთრად შეიცვალა 2017 წლის იანვრიდან მოგების გადასახადის დეკლარაციების წარდგენის პირობები. კერძოდ, სავალდებულო გახდა მოგების გადასახადის დეკლარაციების წარდგენა ყოველთვიურად, ნაცვლად ყოველწლიურისა. რაც შეეხება 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ბოლო ვადა კი 2017 წლის 1 აპრილამდეა.

შპს „ლაშარი+“ მზადაა, გაგიწიოთ კვალიფიციური მომსახურება წლიური დეკლარაციების ელექტრონულ შევსებაზე და თავისდროულ გადაგზავნაზე.

იჩქარეთ, არ დაგვიანოთ დეკლარაციების გადაგზავნა.

შპს „ლაშარი+“, **ტელ: 591 22 44 95 , 593 28 11 46.**

ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქ. N62-ში, არმისული ბამის ტერიტორიაზე, ყოფილი ოლიფის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ინკუბატორი „ქარიშხალა“ გთავაზობთ ჩვეულებრივი ქათმის, ხარკოს ჯიშის ქათმის და იხვის ერთდღიან, ორკვირიან, სამკვირიან წიწილებს. ინკუბატორი ფუნქციონირებას იწყებს 1 მარტიდან. საწარმოში უმაღლეს დონეზეა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და დამონტაჟებულია სტანდარტით შესაბამისი ინკუბატორის საჩეკი დანადგარი, სადაც ასევე დაცულია ტენიანობა და ტემპერატურის რეჟიმი. გარდა წიწილის შეძენისა, შეგიძლიათ მოიტანოთ იხვის, ქათმის, ბატის, ინდაურის, ციცარის, ხოხბის კვერცხები. გისურვებთ წარმატებებს.

საკონტაქტო ტელეფონებია:
591 01 81 30, 555 11 00 65, 599 18 00 65.

განაცხადი

რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ წარმომადგენთა კრების მოწვევის შესახებ.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი ხორნაბუჯი.

გადაუდებელი საგანგებო აუცილებლობის გამო (გარდაცვლილი დირექტორის ოთარ გონაშვილის შემცვლელის არჩევა, სამომავლო საოქმედო გეგმის დასახვა) მოწვეული უნდა იქნას რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ (ს/კ 228521418) წარმომადგენელთა კრება, რომელიც ჩატარდება ქ.დედოფლისწყაროში, ცხრა ძმის ქუჩა №1-ში მიმდინარე წლის 24 მარტს, 12 საათზე.

დღის წესრიგი:

1) რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ დირექტორის არჩევა (მომხსენებელი ილია ნატროშვილი)

2) რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ მომავალი სამოქმედო გეგმის განსაზღვრა. (მომხსენებელი ილია ნატროშვილი).

წარმომადგენელთა კრების წევრების დასწრება სავალდებულოა.

დირექტორი: ილია ნატროშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 20.03		სამშაბათი 21.03		ოთხშაბათი 22.03		ხუთშაბათი 23.03		პარასკევი 24.03		შაბათი 25.03		კვირა 26.03	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	10 °	6 °	8 °	4 °	5 °	3 °	6 °	5 °	10 °	7 °	11 °	9 °	13 °	9 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.